**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**

**წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**თავმჯდომარის ბრძანება**

ბრძანება:**ბ119. 119240162**

თარიღი:**16/01/2024**

***წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში არსებულ ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატების შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნისა და კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ***

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი - მე-2 პუნქტების, 38-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

***ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:***

1. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული - საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტისა და სამდივნო განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატების შერჩევის მიზნით დახურული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად შეიქმნას საკონკურსო კომისია.

2. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი თამარ ცქიტიშვილი.

3. დაევალოს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს განსაზღვროს კომისიის წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა.

4. კონკურსის ჩატარების წესი და პირობები, აგრეთვე საკონკურსო კომისიის საქმიანობის დეტალური წესი განისაზღვრება „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებით.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი